

სკაფოლდინგი და მისი გამოყენების პერსპექტივები დიფერენცირებული სწავლებისას

სასკოლო განათლების რიგი საკითხების შესწავლისას ხშირად გამოიკვეთება ის პრობლემები, რაც ახლავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებას და განხორციელებას. როდესაც სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით არ მიმდინარეობს, აქტუალური ხდება სასწავლო პროცესის წარმართვა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სწავლების განსახორციელებლად კი აუცილებელი პირობაა კომფორტული სასწავლო გარემო და ყველა მოსწავლისათვის პოტენციალის განვითარების, გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობის უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფერხდება მოსწავლის განვითარება, იგი კარგავს სწავლის სტიმულს და შედეგად არასრულფასოვანია. ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას, რადგან მოსწავლეთა შესაძლებლობების დროული გამოვლენისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის უგულებელყოფა ხშირად ხდება დაბალი დონის მათემატიკური განათლების მიზეზი.

პრაქტიკით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართული მოსწავლე აუცილებლად აღწევს წარმატებას როდესაც პროცესი მისთვის კომფორტულ სასწავლო გარემოში მიმდინარეობს. მოსწავლეთა თანამონაწილეობა სასწავლო პროცესში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთია მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლისადმი, რითაც იგი ეხმარება მას საკუთარი თავის „აღმოჩენასა“ და გამოვლენაში. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მასწავლებლის მოლოდინები მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის მიმართ უსაფუძვლო არ არის. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით აქტუალურია უმცროსი სასკოლო ასაკიდანვე, რადგან ამ ეტაპზე ხდება მოსწავლის, როგორც ამ პროცესის აქტიური „თანამონაწილის“ სუბიექტის ჩამოყალიბება და „დამკვიდრება“.

წარმატებული სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობა წინაპირობად გვევლინება მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის დროული გამოვლენა და სისტემატური ზრუნვა იმაზე, რომ იგი განვითარების ერთი დონიდან მასწავლებლის, თანატოლებთან ურთიერთობების თუ გარემო პირობების ხელშეწყობით წარმატებით გადავიდეს უფრო მაღალ დონეზე.


როგორც ცნობილია, სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის ფუძემდებელი ლ. ვიგოტსკი გამოყოფს ბავშვის განვითარების ორ დონეს: განვითარების არსებულ (აქტუალური ზონა, რომელშიც იმყოფება მოსწავლე სწავლების მომენტში) და პოტენციურ (უახლოესი განვითარების ზონა, რომლის მიღწევის პოტენციალს გააჩნია მას სხვათა, უფრო კომპეტენტურთა დახმარებით) დონეებს. მასწავლებლის დანიშნულებაა სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ უზრუნველყოს მოსწავლეთა განვითარება პოტენციური დონის ფარგლებში. ამ მიზნით სკაფოლდინგი არსებითად ღირებულია.

ლ. ვიგოტსკის აზრით დამხმარე საშუალებები (სკაფოლდინგი) საჭიროა მოსწავლეთათვის განვითარების, კომპეტენტურობის უახლოესი ზონის მისაღწევად, ამ ზონის ფარგლებში მათი განვითარების დასახმარებლად [1].

სკაფოლდინგი, იგივე „ხარაჩოს დადგმა, აგება“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, არის სწავლების ტექნიკა, როდესაც მოსწავლელი ქმნის სტრატეგიის ან დავალების მოდელს და მათი შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებლობა თანდათან გადააქვს მოსწავლეებზე მხარდაჭერით, ბიძგის მიცემით, რესურსების მიწვდით, კოგნიტური და მეტაკოგნიტური აქტივობების მეშვეობით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საკითხის გააზრებას, წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებას, ცოდნის შექმნას და განვითარებას. სკაფოლდინგი საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეასრულოს ისეთი დავალებები და შეიძინოს ცოდნა, უნარები, რაც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებს შეესაბამება. მისი განხორციელების მიზანია მოსწავლეს დავანახოთ თავისი პოტენციური შესაძლებლობები, რა შეუძლია და რა არა, რომ სწორად შეაფასოს საკუთარი „მე“, სუსტი და ძლიერი მხარეები, განსაზღვროს რისი გაკეთება შეუძლია დამოუკიდებლად და სად საჭიროებს დახმარებას (თვითშეფასება). როდესაც მოსწავლე სხვათა დახმარებით აღწევს იმ წარმატებას, რაც დავალების შესრულებამდე მას „მიუღწევლად“ მიაჩნდა, ეს ზრდის მის თვითრწმენას, რომ მას შესძლებია, მაღლდება თვითშეფასების „ნიშა“, რადგან მოსწავლე ნათლად ხედავს საკუთარ შესაძლებლობებს და პროგრესს. იზრდება დადებითი დამოკიდებულება სწავლისადმი.

სწორი მეთოდური მიდგომისას დავალებათა სირთულის არეალში ყოველი ბავშვისათვის დგინდება ის შუალედი, რაც არსებობს განვითარების არსებულ დონესა და პოტენციურ დონეს შორის, პოტენციური დონის მაქსიმალური ზღვარი, (სადაც გადის ბავშვის შესაძლებლობის ზღვარი). მოსწავლისათვის დამლევადი, მიღწევადი და ამავდროულად გამოწვევების შემცველი დავალებების შეთავაზებით იქმნება შესაძლებლობა, რომ იგი ჩავრთათ სასწავლო პროცესში, როგორც აქტიური შემმცნებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დავალება სირთულით აღემატება მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონას, მაშინ მას უჭირს დავალების შესრულება. წარუმატებლობა კი აუარყოფითად აისახება მოსწავლის განვითარებაზე: ქვეითდება მოსწავლის თვითშეფასება, იგი ითრგუნება, კარგავს სწავლის სტიმულს, მოტივს. ამდენად, დავალება მაშინ იძენს ეფექტიანობას და განმავითარებელ ფუნქციას, როდესაც იგი შეესაბამისობაშია მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონასთან.

განვითარების უახლოესი ზონა არის „მანძილი აქტუალური განვითარების დონეს (დამოუკიდებლად პრობლემების გადაჭრის უნარი) და პოტენციური განვითარების დონეს შორის (უფროსის ხელმძღვანელობით ან თანატოლებთან ერთად პრობლემის გადაჭრის უნარი)“ [1;223]. სქემატურად ეს შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



სადაც აქტუალური ზონა ეს არის AB, უახლოესი განვითარების ზღვრის არეალია BC მანძილი, ხოლო პოტენციური დონის ზედა საზღვარი C წერტილი. ცხადია ამ საზღვრებს არ გააჩნია კონკრეტული უძრავი მიჯნა, ისინი დინამიურია, რადგან ყოველი ახალი უნარების, ცოდნის დაუფლება აისახება ბავშვის განვითარებაზე და იზრდება მისი უახლოესი განვითარების ზონის ზღვარიც. მთავარია მასწავლებელმა სწორად შეძლოს იმის შეფასება, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს დამოუკიდებლად და რისი – სხვათა დახმარებით, თითოეულის ინდივიდუალიზმიდან გამომდინარე დაადგინოს დამოუკიდებლობისა და შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვრები, რადგან ყოველ მათგანს გააჩნია „თავისი“ აუახლოესი განვითარების ზონა.

მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებას ახორციელებს იმისდა შესაბამისად, თუ რა დოზის მხარდაჭერა ესაჭიროება პერსონალურად თითოეულ მათგანს. იმისათვის, რომ მოსწავლემ არ დაკარგოს სტიმული, მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების ზედა ზღვარს, საჭიროა სწორად დაგეგმილი პედაგოგიური მიდგომით მას დროულად „შევაშველოთ ხელი“, „შევეხიდოთ“ და მივცეთ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ცოდნის კონსტრუირებისას მასწავლებელმა სწორად შეაფასოს მოსწავლის უნარები და სკაფოლდინგის ხერხები შეარჩიოს ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით.

მოსწავლისადმი სწავლებაში მხარდაჭერა შესაძლოა იყოს გამხნევება, წაქეზება, წახალისება, სტიმულის მიცემა, შეკითხვები, მინიშნება, ვერბალური თუ არავერბალური ბიძგი, რაიმე ნიმუშის ან მაგალითების განხილვა, ან ისეთი დავალების შეთავაზება, რაც მოსწავლეს დაეხმარება და ხელს შეუწყობს ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში და სხვა. სკაფოლდინგის განხორციელებისას ღირებულია, რომ მოსწავლემ საჭირო მხარდაჭერის კვალდაკვალ მიიღოს გამოწვევებიც, რომელთა განსახორციელებლადაც იგი აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესში როგორც აქტიური შემმეცნებელი. გამოწვევის შედეგად მოსწავლეს უჩნდება დავალების დამოუკიდებლად შესრულების და შემდგომი საქმიანობის სტიმული, რაც აისახება მის აქტივობაზე. დახმარებისას, როცა უნარ-ჩვევების დონე მაღლდება, ჩნდება თვითრწმენა, რაც მოტივირებულს ხდის მოსწავლეს უნარ-ჩვევათა შემდგომი დაუფლებისათვის. ხოლო თუ დახმარება ხორციელდება გამოწვევების გარეშე, მაშინ მოსწავლე დამოკიდებული ხდება იმ პერსონაზე, ვისგანაც იღებს დახმარებას.

რა არის არსებითი და მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ მოსწავლე იყოს „აქტიური შემმეცნებელი“ რომელიც ხალისით, მოტივირებულად ერთვება სასწავლო პროცესში, გამოთქვამს მზაობას გამოწვევების მიმართ და აქვს მცდელობა შესაძლებლობის ფარგლებში შეასრულოს შეთავაზებული დავალებები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნევთ მოსწავლეთა წინაშე სასწავლო მიზნების ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბებას; მოსწავლეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფას სასწავლო მიზნების განხორციელებაში, მეტი პასუხისმგებლობის გადანაწილებას მათზე საკუთარ სწავლაზე, მათი სწავლების შედეგებზე. სწორედ ამ ასპექტში განვიხილავთ სკაფოლდინგს, როგორც ამ მოთხოვნების რეალიზების ერთ-ერთ კარგ საშუალებას. მისი გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

1. სკაფოლდინგი არის დახმარება, მხარდაჭერა იმ მოსწავლეთათვის, ვინც მზად არ არიან დავალების დამოუკიდებლად შესასრულებლად, თუმცა ამის შესაბამისი პოტენცია გააჩნიათ;

2. სკაფოლდინგი არის დროებითი დახმარება მოსწავლეთათვის იმ ეტაპამდე, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად შეძლებს კონკრეტული დავალების შესრულებას;

3. სკაფოლდინგის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა ცოდნისა და საჭირო უნარ-ჩვევების გააქტიურებას;

4. სკაფოლდინგი არსებითად ზრდის მოსწავლეთა მზაობას ახალი მასალის ასთვისებლად უკვე ნასწავლის გააქტიურების საფუძველზე;

5. სკაფოლდინგი მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის სწავლის მოტივის ამაღლების მიზნით, ასევე თვითრწმენის და საკუთარი შესაძლებლობების შეფასების თვალსაზრისით.

სკაფოლდინგის წარმატებულად განსახორციელებლად არსებითად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა :

✓ უზრუნველყოს ყველა მოსწავლესთან მუშაობა სასწავლო მიზნების დაგეგმვისას და საერთო მიზნის ჩამოსაყალიბებლად;

✓ დროულად დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები;

✓ სწორად შეაფასოს მოსწავლეთა შესაძლებლობები, აქტუალური და აუხლოესი განვითარების ზონები, ზღვარი მათ შორის;

✓ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით შეარჩიოს სკაფოლდინგის ხერხები;

✓ სასწავლო გეგმისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად შეარჩიოს ისეთი დავალებები, ამოცანათა პაკეტები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეთა გამოწვევები შესაბამისობაში იქნება სასწავლო მიზნებთან და მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებთან.

სკაფოლდინგის განხორციელებისას დახმარება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ცალმხრივი პროცესი, სადაც მოსწავლე, ვის მიმართაც ხორციელდება მხარდაჭერა, არის მხოლოდ ინფორმაციის და გარკვეული რეკომენდაციების პასიურად მიმღები სუბიექტი. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე იყოს აქტიური შემეცნებელი, ხოლო სწავლება კი აგებული თანამშრომლობით ურთიერთობებზე.

ლ. ვიგოტსკი შემეცნებას განიხილავს როგორ საზოგადოებრივი ურთიერთობების (სოციალიზაციის) პროდუქტს. მოსწავლე გარკვეული სოციალური ჯგუფის „შემადგენელი“ სუბიექტია, რომელიც სწავლობს ამ ჯგუფის წევრებთან ურთიერთთანამშრომლობით, ინტერაქციით [1]. სოციალური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს სწავლების პროცესსა და მის შედეგებზე. გამომდინარე აქედან, არსებითად მნიშვნელოვანია ბავშვმა სწავლისათვის საჭირო უნარები და ცოდნა შეიძინოს სოციალურ კონტექსტში, ანუ „სხვებთან“ ურთიერთობით. აღნიშნულის გათვალისწინებით მასწავლებლის წინაშე დგას არსებითად მნიშვნელოვანი ამოცანა: გონივრული დაგეგმვით შეძლოს სოციალური ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენება სწავლების მიზნების რეალიზებისათვის, სადაც აქტიურად ჩართავს თვით მოსწავლეებს სასწავლო უნარების განვითარების სტიმულირების

ხელშეწყობით. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთათვის დახმარებასა და მხარდაჭერას როგორც მასწავლებლის, ისე მათივე თანატოლების მხრიდან.

ზოგჯერ, მეთოდურ პუბლიკაციებში სკაფოლდინგს უკავშირებენ მოსწავლეთა მიმართ მხოლოდ უფროსების, მასწავლებლის მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც არასწორია. „ხარაჩოს მეთოდის“ მიზანი არის მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა, რაც შესაძლოა განხორციელდეს არა მარტო მასწავლებლის დახმარებით, არამედ თანატოლებთან ურთიერთობების საშუალებითაც.

იმის გათვალისწინებით, რომ ეფექტური სკაფოლდინგის განხორციელება დიდი რაოდენობის მოსწავლეებთან რთულია, (კლასში მოსწავლეთა საჭიროებების მრავალმხრივობის გამო), მათი დახმარების მიზნით შესაძლებელია წარმატებით გამოვიყენოთ ეს სტრატეგია თანატოლებთან ურთიერთობების საშუალებით დიფერენცირებული სწავლების დროს.

დიფერენცირებული სწავლებისას სკაფოლდინგს ახასიათებს ის სპეციფიკა, რომ მოსწავლე დახმარებას იღებს არა მარტო მასწავლებლისგან, არამედ თანატოლებისგანაც ჯგუფური მუშაობის პროცესში. მცირე ჯგუფებში სხვადასხვა დავალებზე მუშაობისას, მოსწავლეები მსჯელობენ, უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ერთვებიან დისკუსიებში, რაც ხშირად „ხარაჩოს“ ფუნქციას ასრულებს იმ მოსწავლისათვის, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციაში უჭირს დავალების შესრულება, თუმცა ამის რეალური პოტენცია გააჩნია. თანატოლებთან მსჯელობის, აზრთა გაზიარების პროცესში მოსწავლე იძენს ახალ უნარებს და უმკლავდება გამოწვევებს. ამ შემთხვევაში სკაფოლდინგი შესაძლოა განვიხილოთ როგორც ურთიერთსწავლება, რა დროსაც „ხარაჩოს“ როლს ასრულებს მოსწავლეთა რიგი აქტივობები: ამოცანის გადაწყვეტის გზების ძიება, ვარაუდების გამოთქმა, საკუთარი თუ სხვათა არგუმენტების გაზიარება, „პაექრობა“, მსჯელობა, კითხვების დასმა, მაგალითების მოყვანა და სხვა. თანატოლებისაგან მიღებული ინფორმაცია დამხმარე როლს თამაშობს საკითხის (დავალების) უკეთ გასააზრებლად და ცოდნის გასააქტიურებლად. სწორედ ეს თანამშრომლობითი ურთიერთობებით გამოვლენილი აქტივობები და ურთიერთსწავლება წარმოადგენს სკაფოლდინგის გამოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ღირებულ მხარეს. ამ შემთხვევაში იცვლება მასწავლებლის როლიც: იგი თვითონ კი არ ახორციელებს და იყენებს სკაფოლდინგის საშუალებებს და ხერხებს, არამედ მართავს და აკონტროლებს სასწავლო პროცესს ისე, რომ ეს ხერხები და საშუალებები გამოყენებულ იქნას თვით მოსწავლეთა მიერ თანატოლთა დასახმარებლად. ამიტომ მას აკისრია „ხელშეწყობის“ და მენტორის ფუნქცია.

გასათვალისწინებელია ის სირთულეები, რაც შესაძლოა წარმოიქმნას ამ პროცესში:

ჯგუფურმა მუშაობამ, როგორც თანამშრომლობითი ხასიათის საქმიანობამ, შესაძლოა შეაფერხოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია ძირითადი დავალებიდან გამომდინარე ჯგუფის თითოეულ წევრს გადაუნაწილოს ინდივიდუალური დავალებები, რომლებსაც ისინი ასრულებენ

დამოუკიდებლად იმის გათვალისწინებით, რის მიხედვითაც ხორციელდება დიფერენცირება. შემდგომ კი ხდება ყველას მიერ შესრულებული დავალების შეჯერება და ძირითადი დავალების გადაწყვეტა; შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტადაც საჭიროა რიგი აქტივობების გახორციელება: მოკლე ჩანაწერის გაკეთება, ნახაზის შედგენა, მონაცემთა დახარისხება საჭირო ან არასაჭირო მონაცემებად, ძირითადი ამოცანის დაყოფა „ქვეამოცანებად“ და ა. შ. ეს აქტივობები გადანაწილდება ჯგუფის წევრებზე და მათი შესრულების შემდეგ კი მოხდება შეჯერება, თითოეული მოსწავლე ახსნის თუ როგორ და რისთვის გადაწყვიტა თავისი დავალება კონკრეტული სახით. შემდგომ კი მსჯელობენ, კითხვებს უსვამენ ერთმანეთს, ცდილობენ მოიძიონ ამოცანის ამოხსნის გზა, სთავაზობენ და განმარტავენ საკუთარ ვერსიებს და ა. შ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგ ბავშვს უჭირს ჯგუფში ინტეგრირება. ამის დასაძლევად დიფერენცირებული სწავლება გვევლინება ერთ-ერთ ხელშემწყობ სტრატეგიად. როდესაც ხდება მოსწავლეთა დიფერენცირება მათი ინტერესების, მზაობის, შედეგების და ა. შ. მიხედვით, ეს პოზიტიურ გარემოს ქმნის მოსწავლისათვის ჯგუფში ინტეგრირებისთვის, რადგან მის გვერდით საერთო „მიზეზით“ გაერთიანებული ჯგუფის წევრები არიან (განსხვავებით ჩვეულებრივი ჯგუფური მუშაობისაგან) და ეს სტიმულს აძლევს მას;

ცხადია, ჯგუფის მართვა არ არის ადვილი. მრავალ სხვა საკითხებთან ერთად მასწავლებელმა უნდა დაარეგულიროს ურთიერთობები ჯგუფის წევრთა შორის, გააკონტროლოს ჯგუფის მუშაობა და არ უნდა დაუშვას მხოლოდ ერთის ლიდერობა, (რაც ზოგჯერ კონფლიქტის მიზეზი ხდება ჯგუფის წევრებს შორის), აკონტროლოს სხვათა აქტივობაც, სტიმული მისცეს ყოველ მათგანს ჯგუფში აქტიური ჩართვისათვის. ამ მიზნით შესაძლოა გამოვიყენოთ დავალებები, რაც ხელს შეუწყობს თითოეული მათგანის ჩართვას და აქტივობას ჯგუფში.

მაგალითად, ჯგუფის წევრებს ეძლევათ ამოცანები, მაგალითები მზა (სწორი ან მცდარი) პასუხებით და მოსწავლეებს ევალებათ დაასაბუთონ პასუხის სისწორე, ახსნან საკუთარი ვერსიები, შეაჯერონ პასუხები და ჩამოაყალიბონ საბოლოო დასკვნა. ჯგუფის ყოველი წევრი იძიებს, აკეთებს დასკვნებს და ხდება ჯგუფის აქტიური თანამონაწილე. ასეთი მუშაობით იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა, მოტივაცია. ამ დროს მაღალია მოსწავლეთა მოლოდინები, რაც დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე.

სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. კუბის მეთოდი. ცალკეულ ჯგუფს გარკვეულ დროში შესასრულებლად მიეცემათ დავალება (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) კუბის წახნაგზე გამოსახული მოცემული ოპერაციის მიხედვით: აღწერეთ, იპოვეთ განსხვავება, გაანალიზეთ და ა. შ. დავალების შესასრულებლად და საკუთარი ვერსიების არგუმენტირებისთვის მოსწავლეებს მიეთითებათ ინდივიდუალურად შეიმუშაონ ვერსიები, ამისათვის გამოიყენონ ჩანაწერები, ნახაზები, ვენის დიაგრამები და ა. შ. დავალების შესრულების შემდეგ კი დაუსვან შეკითხვები ერთმანეთს, არგუმენტირებულად

დაასაბუთონ საკუთარი ვერსიები, შეაჯერონ ერთმანეთთან და ჩამოაყალიბონ საბოლოო დასკვნა.

მასწავლებელმა პერიოდულად უნდა შეაფასოს როგორც ჯგუფის მუშაობა, ისე ინდივიდუალურად და შეაქოს, წახალისოს, კომენტარი გააკეთოს თითოეულის აქტივობაზე, მიუხედავად იმისა, რა როლში გვევლინება თითოეული მათგანი: „შემსწავლელის“ თუ „დამხმარის“. სკაფოლდინგი ყველა მოსწავლეს არ ჭირდება, თუმცა გამხნეება და წაქეზება არის სტრატეგიის ის ნაწილი, რომელიც დადებითად აისახება თითოეული მოსწავლის აქტივობებზე. კონკრეტული საკითხის განხილვისას თუ ამოცანის გადაწყვეტისას მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრების საპასუხოდ საჭიროა უკუკავშირის განხორციელება. ცხადია, როდესაც ინდივიდუალურად ხდება მოსწავლესთან უკუკავშირების განხორციელება, ეს დროის დანახარჯებთან არის დაკავშირებული. დიფერენცირებული სწავლებისას კი უკუკავშირი ხორციელდება ჯგუფში, „დისკუსიისა“ და თანატოლებთან ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც მოსწავლეს თვითშეფასებაშიც ეხმარება. ბავშვები უკეთ ხედავენ საკუთარ სუსტ თუ ძლიერ მხარეებს, პროგრესს, უკეთ გაიაზრებენ დავალების შესარულებლად არჩეული გზის ეფექტურობას. ასეთი გარემოს გავლენით იაზრებენ საკუთარი მუშაობის წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების შედეგად მოსწავლე საკუთარ თავსაც აწვდის გარკვეულ უკუკავშირს, რაც მას შესძენს ახალ კომპეტენციებს, იაზრებს და აფასებს საკუთარი თუ სხვათა საქმიანობის, დავალების შესასრულებლად შერჩეული სტრატეგიების უპირატესობას, გაიაზრებს საქმიანობის შემდეგ გზებს. შედეგად მოსწავლე სწავლობს როგორ ისწავლოს. როდესაც თვითშეფასება ხორციელდება დავალების დასრულებამდე, მოსწავლე სწორად იაზრებს საკუთარი საქმიანობის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებს და იგი ცდილობს დაშვებული „შეცდომების გამოსწორებას“ რომ მიაღწიოს შედეგს. ეს ზრდის თვითრწმენას, წარმატების მიღწევის სურვილს, მოტივაციას და ამალღებს პოზიტიურ განწყობას სწავლისადმი.

მოსწავლეებს უნდა დავეხმაროთ რომ ისწავლონ სწავლებაში საკუთარი პროგრესის შეფასება, მონიტორინგი. სასურველია მასწავლებელმა პერიოდულად მოსწავლეთა პროგრესის შეფასებისას სთხოვოს მათ თავად შეაფასონ ის ქმედება და საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო და უზრუნველყო წარმატება თითოეული მათგანისათვის.

მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებად აღწევენ წარმატებებს, თვითშეფასების ხარისხი დაბალი აქვთ. ამიტომ ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ მიიღონ დახმარება სხვებისგან. ამ კატეგორიის მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლებოდეს დავალების შესრულების ზუსტი ინსტრუქციების მიცემით, რადგან მოსწავლე ამ შემთხვევაში ხდება ინსტრუქციების შემსრულებელი და არა აქტიური შემმეცნებელი.

დიფერენცირებული სწავლებისას, როდესაც ხდება მოსწავლეთა მოკლევადიანი დაჯგუფება, მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მოახდინოს მოსწავლეთა გადაჯგუფება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც აისახება მოსწავლეთა

განვითარების უახლოესი დონის „ნიშის“ ცვალებადობით. მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეძლებს კონკრეტული დავალების წარმატებით დამოუკიდებლად შესრულებას, მის წინაშე დაისმება შედარებით რთული ამოცანა, რომლის გადასაწყვეტადაც შესაძლოა მას უკვე სხვა დახმარება, სხვა სახის მხარდაჭერა დაჭირდეს.

დახმარება მოსწავლეთათვის ცოდნის გახსენებასა და გამოყენებაში უნდა იყოს ზომიერი, რომ ხელი არ შეუშალოს ცოდნის აქტუალიზაციას. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა ეტაპზე უნდა შევწყვიტოთ დახმარება. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია თანატოლთა ურთიერთდახმარებისას, რაც უნდა აკონტროლოს და არეგულიროს მასწავლებელმა.

ცხადია ამგვარი მუშაობის წარმართვა არ არის იოლი და ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ნდობის ფაქტორი, მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად აღმოჩენა და გამოვლენა, იმის დაფასება, რაც შეძლო და გააკეთა და სხვა. ურთიერთდახმარება მოსწავლეებში უნდა იწვევდეს პოზიტიურ განწყობას. პოზიტიური და იმედიანი უნდა იყოს თვით მასწავლებლის დამოკიდებულებაც. შესაძლოა თავდაპირველი ძალისხმევით ვერ მივიღოთ სასურველი შედეგი, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს დახმარებისა და თანადგომის პროცესი. გარკვეული მცდელობების შედეგად ჩვენ აუცილებლად მივიღებთ სასურველ შედეგს და მოსწავლის წარმატებაც აშკარა გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრიადისი გ., კამბერელისი ჯ. (2010): თეორია განათლებისათვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
2. რედაქტორი კუტალაძე ი. (2010): ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი. კვლევის დეპარტამენტი. თბილისი;
3. წიგნზე მუშაობდნენ: ბოჭორიშვილი მ., ნამიჭიშვილი ნ., ნაზულიშვილი ნ. (2013); ინტერაქტიური მეთოდების კრებული და ტესტები, ასოციაცია „ზეკარი“, გამომცემლობა მწიგნობარი. თბილისი.

Summary

In studying different issues of school education, very often, those problems are revealed which accompany the introduction and implementation of student-oriented teaching. The premise for conducting teaching fit to students' needs is to make clear students' contingencies, potential relevantly and to take systematic care of moving it from the existing (actual) level of development to the potential (nearest) one successfully. With that purpose “scaffolding” is absolutely essential.

The paper deals with the essence of scaffolding and its usage peculiarities in the process of mastering instructional skills and knowledge. The topicality of the problem concerns with the perspectives of scaffolding usage in differentiated teaching.

Sometimes in methodical publications scaffolding is connected with teacher's support and help in relation with students and that is irregular. “Scaffolding Method” aims to promote students' development that can be realized with the teacher's help and relationships with other students as well. From that point differentiated teaching has great importance.

Scaffolding can be considered as inter-training in differentiated teaching, when the “scaffold” role is directed with different student activities: finding ways for solving the problem, expressing presumptions, discussing, asking questions, making examples and so on. Activities revealed via the interrelations with other students and inter-training represent one of the important and valuable side for scaffolding elicitation, because in the process of having discussions with other students and sharing ideas student gains new skills and overcomes the problems. While discussing or solving specific problem or task it’s necessary to give student a feedback after expressing ideas. Not all students need scaffolding, though encouragement and stimulation are the part of the strategy which positively influence on the activities of each student.

It’s also very important to raise the skill of self-estimation in students that is conditioned by making joint decisions together with other students. Teacher plays the roles of “supporter” and mentor in that process. It’s quite clear that such kind of activities isn’t easy to be planned or managed; they are depended on various factors. The paper considers the problems of scaffolding in differentiated teaching and offers the ways and perspectives for solving them.

Scaffolding and its Usage Perspectives in Differentiated Teaching

Key Words:

Student-oriented teaching, student’s actual and nearest development areas, scaffolding, differentiated teaching, participation in teaching process.